



ტარიელ ფუტკარაძე, მიხეილ ლაბაძე

ქართველური და თურქული ონომასტიკა თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეტყველებაში¹

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიაში გადმოსული მუჰაჯირები ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებმა თავდაპირველად სწორედ შუა შავიზღვისპირეთის სანაპირო დასახლებებში განათავსეს. მათი შთამომავლობის დიდმა ნაწილმა დღემდე შემოინახა დედაენა და ბევრი ისტორიული ტრადიცია. თანამედროვე თურქმა ისტორიკოსმა, **ჰასან იუქსელმა** 1994 წელს სათანადო გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ხსენებულ რეგიონში მდებარე იმ 150-მდე სოფლის სია, სადაც ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინის კუთვნილ მიწებზე (ვაკუფებზე) 1879-1882 წწ. დროებით დაასახლეს რუსეთის იმპერიიდან გადმოსული მუჰაჯირები (იუქსელი, 1994: 475-488). ამ სიაში ბევრია ისეთი სოფელი, სადაც დღესაც სახლობენ მუჰაჯირთა (არამარტო ქართველთა, არამედ ასევე - აფხაზ-აბაზათა და ჩრდილოკავკასიელთა) შთამომავლები. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ქართველთა მეტყველებაში შემონახულ ონომასტიკურ მასალას.

1. ანთროპონიმები

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში (გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპისა და ამასიის ილებში) მოსახლე ქართველობა ძირითადად, იმ მუჰაჯირების შთამომავალია, რომლებიც 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ იძულებულნი გახდნენ, მიეტოვებინათ მშობლიური მიწა (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. გადახვეწილთა ნაწილი თავიდანვე დამკვიდრდა შუა შავიზღვისპირეთში, ნაწილი კი უფრო მოგვიანებით გადმოვიდა აქეთ ოსმალეთის სხვა რეგიონებიდან.

ქართველი მუჰაჯირები სუნიტი მუსლიმანები იყვნენ. შესაბამისად, ატარებდნენ არაბულ-ოსმალურ სახელებს, თუმცაღა შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული გვარები: ან თავდაპირველი (ოსმალობამდელი), ან კიდევ - ოსმალურ ყაიდაზე მოდიფიცირებული სახით. აქვე დავძენთ, რომ როგორც ცნობილია, ოსმალეთში გვარი არ არსებობდა, მაგრამ არათურქული წარმომავლობის ხალხები (ქართველები, ალბანელები, ბოსნიელები და ა.შ.) ატარებდნენ ე.წ. მეტგვარებს, რომლებიც ნაწარმოები იყო მამის ანდა

¹ სტატია დამუშავებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869, ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტკარაძე) ფარგლებში.



მუსლიმანობაზე მოქცეული პირველი წინაპრის სახელიდან. არაიშვიათად, ქართველებს, ბულგარელებსა და ბოსნიელებს - განსაკუთრებით, დიდგვაროვნებს - მეტგვარის ფუძედ ძველი გვარის ეპონიმიც კი ჰქონდათ შენარჩუნებული (ჩაღლარი, 2016:32). თურქეთის მოქალაქე ეთნიკურ ქართველთა უმრავლესობას აქვს ინდივიდუალური საშინაო მეტსახელიც, რომელიც როგორც წესი, ქართული წარმომავლობისაა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში არ გვხვდება ტერმინი „მეტსახელი“; ამ მნიშვნელობით გამოიყენება **ლაღაბი**². როგორც წესი, „ლაღაბი“ შერქმეულია რაიმე განკერძოებული ნიშნის მიხედვით და იუმორისტულ-დამცინავი შინაარსისაა; მაგ., მელოტ ადამიანს შეიძლება ერქვას „ბურმგლია“ - დიდთმძიანი; ქერა ადამიანს - ქოსაი „უთმო“. „ლაღაბი“ **ამავე მნიშვნელობითაა** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველთა მეტყველებაშიც: აჭარულში, მაჭახელურში, იმერხეულში, ტაურში, ლივანურში, სამცხურ-ჯავახურში...

ოსმალური მეტგვარი სტრუქტურით ძალიან ახლოს დგას ტრადიციულ ქართულ და ბალკანურ-სლავურ პატრონიმებთან - იწარმოება ეპონიმზე **-ოღლუ (-oğlu, თურქ. „მისი ძე, შვილი“)** ფორმანტის დართვით. ის, როგორც წესი, გამოიყენებოდა ოსმალეთის არათურქული წარმოშობის ქვეშევრდომის ოფიციალურად იდენტიფიცირების დროს, ხოლო არაოფიციალურად, რასაკვირველია უფრო ფართოდ იყო გავრცელებული ძველი, ადგილობრივი პატრონიმები (ჩაღლარი, 2016:34-35).

2019 წლის ივლისში, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ცნობებით, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველებს - 1877-1882 წწ. მუჰაჯირთა შთამომავლებს - ახსოვთ ან თავიანთი ძველი ქართული გვარები, ან - შედარებით გვიანდელი ოსმალური მეტგვარები. დღეს ისინი, ისევე როგორც მთელი თურქეთის მოსახლეობა, ატარებენ ახალ თურქულ გვარებს, რომელთა წარმოქმნაც უკავშირდება ქემალ ათათურქის მიერ 1934 წელს მიღებულ „გვარის კანონს“ (Soyadı Kanunu). ჩვენი მასალების მიხედვით, როგორც წესი, მუჰაჯირთა შთამომავლების საკუთარი სახელებიც თურქულ-არაბულია (მუსლიმანურია); პიროვნული მეტსახელები („ლაღაბები“) კი მეტწილად ქართულია. აღვნიშნავთ იმასაც, რომ საკუთარი თავის წარდგენისას, ზოგი ქართველი თავის გვაცნობს ქართული სახელით და ძველი ქართული გვარით (თუმცა, პასპორტში სახელის ეს ვარიანტი არ უწერია).

² არაბ.-ოსმ. **Lâkup** მრ. რიცხვის ფორმაა სიტყვისა **Lakab** „[საგვარეულო] მეტსახელი“. ლაზურში მისი სინონიმია ძირეული ქართველური ფორმა: **მეგლი/მეგნი „მეტგვარი“**. **ისეთ ქართველურ ქვესისტემებში, როგორიცაა მაგ., აჭარული, იმერხეული...** „ლაღაბი“ ნიშნავს კონკრეტული პირის მეტსახელს (და არა - ადამიანთა ჯგუფის მეტსახელს).



ექსპედიციის მასალების მიხედვით ქართველთა თურქულ-არაბული ანთროპონიმები შესამჩნევადაა შეცვლილი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში; კერძოდ:

- ოსმალური თუ არაბული ანთროპონიმი განიცდის ფონეტიკურ მოდიფიცირებას ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის შესაბამისად; მაგ.: Yılmaz - **ილმაზ-ი**, Vedat - **ჴედათ-ი**, Feride - **ფერიდე-ი** და ა.შ.

- ყოველ მათგანს ერთვის ქართული სახელობითი ბრუნვის -**ი/-ი** ნიშანი, მაგ.: Şaban - **შაბან-ი**, Musa - **მუსა-ი**, Sedat - **სედათ-ი**... ნიშანდობლივია, რომ თვით თურქულად მეტყველების დროსაც კი, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ამ თავიანთ სახელებს არაიშვიათად, ქართული სახელობითის ფორმით იყენებენ:

ჭოჭ ბაზ, ორადა ქიმ?.. სედათი მი? (შდრ. სამწიგნ. თურქ.: Bak oğlan, orada kim?.. Sedat mı?) „ბიჭო, შეხედე, იქ ვინაა? სედათია თუ?“ (ბულანჯაქი, სოფ. დამუდერე);

ჰა, შიმდი ბურაა მუსაა გელიო[რ]... (შდრ. სამწიგნ. თურქ.: Ha, şimdi buraya Musa geliyor) „აი, ახლა აქეთ მუსა მოდის“ (სინოპი, სოფ. ვეისელი)...

- ანთროპონიმები დაირთავენ ქართული წოდებითის -**ო/-ო** ნიშანსაც: როგორც ქართულად, ისე - თურქულად მეტყველების დროს, მაგ.:

დურსუნო!.. რაფერ ხარ, რაფეები, ჭოჭ?! „დურსუნ!.. როგორა ხარ, რას შვრები, ბიჭო?!“ (ჩარშამბა, სოფ. მუსლუბეი);

საიმეჴ, რაფა კჭირიან ესენი? „საიმე, რისთვის გჭირდებათ ესენი?“ (უნიე, სოფ. გუზელიალი//მიტრაპოლი);

მუსაჴ!.. სენინ ბაბან და გჴრჯი მიდირ? (შდრ. სამწიგნ. თურქ.: Musa!.. Senin baban da Gürcü mü?) „მუსა!.. მამაშენიც ქართველია?“ (ქ. ფაცა);

ნერიდე გიდიო[რ]სუნ, მემედო? (შდრ. სამწიგნ. თურქ.: Nereye gidiyorsun, Mehmet?) „სად მიდიხარ, მეჴმედ?“ (გირესუნი, სოფ. ანბარალანი) და ა.შ.

- თურქულ-არაბული ანთროპონიმებს ქართული ენის ყალიბით ეწარმოებათ კნინობით-ალერსობითი ფორმები; მაგ.: **ცადილ - ცადილ-ა-ი, ოსმან - ოსმან-ა-ი, აიშე - აიშ-უკა-ი, ხაჯერი // > ხაჯე - ხაჯ-ულა-ი**... ყველაზე პროდუქტიული ამ მხრივ არის -**ა** სუფიქსი, რომელიც შეიძლება დაერთოს ყველა თანხმოვანფუძიან სახელს. ამ მიზეზით, ზოგი თურქულ-არაბული ანთროპონიმი ჰიპერკორექციასაც კი განიცდის: მაგ., სახელი **Abdullah** ქართულ ყაიდაზე გადმოდის, როგორც **აბდულა-ი**. ბოლოკიდური **ა** ფუძისეულია, მაგრამ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მიერ აღიქმება, როგორც კნინობით-ალერსობითი სუფიქსი და აქედან გამომდინარე, ოფიციალურ ფორმად ისინი მიიჩნევენ მხოლოდ ჰიპერკორექტირებულ **აბდულ-ი** ფორმას:

დიდჴანების ხებრები შენაც იცი თუ, აბდულო?.. „წინაპრების ამბები შენც იცი, აბდულაჴ?..“ (სინოპი, სოფ. ლალა);



ესე სახლებიც აქა ციმაჲ დანკეთებია, აჭაროლლი აბდულმა!.. „ეს სახლებიც აქ იმაჲ ააშენებინა - აბდულაჲ აჭაროლლიმ!..“ (გირესუნი, სოფ. ანბარალანი);

ექსპედიციის მიმდინარეობისას, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშების ჩაწერისას მასალებში დაფიქსირდა მრავალი პიროვნული მეტსახელი მათი უდიდესი ნაწილის ფუძეც და მაწარმოებელიც ქართულია; მაგ.:

- გირესუნის ილჩეს სოფ. ანბარალანში დაგვისახელეს გასული საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოს სსრ-დან („რუსიდან“) გადმოხვეწილი **ლოლო ამედაჲ** (ყარამანოლი), რომელსაც განსაკუთრებით ჰყვარებია ზრდილობიანი, რბილი საუბარი და მეტსახელადაც ამიტომ შეურქმევიათ **ლოლო** (შდრ. ლაზური **ლულუ** „რბილი, ფაქიზი“ და სამწიგნობრო ქართული ენის ფორმა **ლოლ-იავ-ი**);
- უნიეს სოფ. გუზელიალიში//მიტრაპოლში ჩავიწერეთ მეტსახელი **თაჭუმგილაჲ** (თაჭი „თავი“ და **ბუმგილ-ი** „გაბურმგნული“);
- სოფ. ექინჯულში: **ხეჭეჭურაჲ** (**ხეჭეჭური** მსხლის ჯიშია), **ყუერიტყაპუნაჲ** (ყუერი „testiculus“ და **ტყაპუნაჲ**), **ნაჭარულაჲ** (**ნაჭარი** „ნაჭერი; ფული“)...
- ჩარშამბას სოფ. მუსლუბეიში: **მოდრეჯილაჲ** (**მოდრეჯილი** „დაჭმუქნული“), **ასითთაჲ** (**ასი** და **თითი**) და ა.შ.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში მეტსახელთა ორი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: (1) მეტსახელები, რომლებითაც ამაყოფენ და (2) მეტსახელები, რომელთაც უარყოფენ. მაგ., უნიელი ორი მთქმელიდან ერთმა დიდი სიამაყით დაგვისახელა საკუთარი მეტსახელი **აჭარულაჲ**, ხოლო მეორემ კი უარყო მეტსახელი **თაჭუმგილაჲ**.

იშვიათ შემთხვევაში ნეგატიური მეტსახელიც პოზიტიურადაა აღქმული; მაგ., ჩარშამბას სოფ. მუსლუბეის მცხოვრებს, რომელიც ახალგაზრდობაში გაქნილი ჯიბის ქურდი ყოფილა, შეარქვეს **ასითთაჲ**; ამ მეტსახელით იგი თურმე ძალზე ამაყოფდა და თუ ვინმე ნამდვილ სახელს დაუძახებდა, არც კი გამოეხმაურებოდა ხოლმე.

მეტსახელთა ნაწილი წარმოქმნილია დასახლებული პუნქტის მიხედვითაც; კერძოდ, აჭარაში ფართოდ გავრცელებული წესის შესაბამისად, არაიშვიათად რძლის მეტსახელი შექმნილია მშობლების სოფლის ან კუთხის მიხედვით; მაგ., უნიეს სოფ. გუზელიალიში//მიტრაპოლში, ზემოაჭარლების ოჯახის ქობულეთელმა რძალმა ხუმრობით გვითხრა: **მე ჩურუქსულაჲ უარ ამა, აჭარლეფში მოუბთი** („მე ქობულეთელი ვარ, მაგრამ აჭარლებში მოვხვდი“). ასეთივე ყაიდის მიკროანთროპონიმებად სხვაგან დაგვისახელეს **მაჭახლურაჲ** (ტოპონიმ **მაჭახელიდან**), **დე[რ]მენჯულაჲ** (ტოპონიმ **დერემენჯი ქაოიდან**), **ზეგნურაჲ** (ოიკონიმ **ზეგანიდან** [=შუახევი და ხულო]) და ა.შ.

საკმაო რაოდენობით ჩავიწერეთ აგრეთვე, ისეთი მიკროანთროპონიმები, რომელთა ფუძე თურქულია, ხოლო მაწარმოებელი სუფიქსი - ქართული; მაგ.: **ქესკინაჲ** (< თურქ. Keskin „ხელმარჯვე, მოხერხებული“), **კურნაზაჲ** (< Kurnaz „ცბიერი“), **თათაროლლაჲ** (<



Tataroğlu „თათრის ძე“) ... გამოვლინდა ასევე რთული - ქართულ-თურქული ფუძეებიც: **მუხტრიფხაა** (< თურქ. Muhtar „გამგებელი“ და ქართ. **ფეხაა**; ასე შეარქვეს ჩარშამბას სოფ. მუსლუბეიში კაცს, რომელიც მუდმივად სოფლის გამგებელს დაჰყვებოდა ხოლმე), **თენჯირნაწყეტაა** (< თურქ. Tencir „კარდალა“ და ქართ **ნაწყეტაა**; ასე შეარქვეს ერთ სინოპელს, რომელსაც ბევრი ჭამა უყვარდა) და ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში დაცული **გვარები და მეტგვარები**. როგორც უკვე აღინიშნა, მუჰაჯირთა შთამომავლებს ახსოვთ თავიანთი ძველი ქართული გვარები თუ ოსმალური მეტგვარები, მაგრამ სოფლების უბნების დასახელებისას გამოყენებულია ოსმალური ვარიანტები, რაც, ბუნებრივია, ასახავს ჩამოსახლების პერიოდიდან შექმნილ ტრადიციას; მაგ., გირესუნის სოფ. **ანზარალანში** ცხოვრობენ შემდეგი გვარები: **ჩელებიოღლი, აჭაროღლი, დელიასანოღლი, ჩიჩეკოღლი...** ბულანჯაქის სოფ. **დამუდერეში** სახლობს მხოლოდ **ჰელიმოღლის** გვარის ხალხი; ჩარშამბას სოფ. **ქვედა ქესთანეფუნდარში** არიან: **თათუნოღლი, ხოჯაოღლი, ალიმოღლი, ახისხალოღლი, სალიხოღლი...** იქვე, **ზედა ქესთანეფუნდარში**: **ჩოლოღლი, აბდიოღლი, უსტაოღლი, თოფუზოღლი...** სინოპის სოფ. **ერფელექში**: **ბექიროღლი, თემიროღლი, შაინოღლი** და ა.შ. უმეტესობას ფუძედ აქვს თურქულ-არაბული ანთროპონიმი, ზოგიც (მაგ., **აჭაროღლი, ახისხალოღლი**) - ძველი თემონიმებისაგან წარმოსდგება (შდრ. თურქ.: Acar „აჭარელი“, Ahiskalı „ახალციხელი“).

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელ შთამომავლებს მეტ-ნაკლებად, თავიანთი ძირძველი ქართული გვარებიც ახსოვთ: ქ. **ფაცაში** ერთ-ერთმა მთქმელმა, თანამედროვე თურქულ სახელსა და გვართან ერთად, სიამაყით დაგვისახელა ქართული გვარიც - **კაკალაძე**, თან აღნიშნა: **აქაური ქართულებს ჩუენი სახელი, გუარი არ დაგუატიწყდა-ქი, უიცით იგინი. სულ ადამიანმა თაუისი გუარი იცის. პირუელაჲ ქი საქართუელოს კარები გახსნენ, დეაწყო მისლა-მოსლა: შენ რა გუარი ხარ? შენ რა სოფლიდან ხარ? - მე კაკალაძე უარ, მე ინაიშვილი უარ, მე ქათამაძე უარ - ისე დეაწყო, გამეუკითხეთ, უიცანით, უნახეთ. მეორე ქართული კიდე ცარი აქა - აჭარელი, იგინმა მისი გუარი ცარ იცან. ქედეიდან უინც რომ ჩამოსული არიან, სულ თურქა გუარები იცან იგინმა. ქართულები არან ამა, თურქა გუარები აქუან. მესელა, მე მკითხუენ - მე კაკალაძე უარ, უამბოფ. იმას კითხუენ - თურქულ გუარ ამბოფს: ჭეჭელოღლი უარო, წითელოღლი უარო - იტყუიან. მერე გეიგებენ ამა, ქართული გუარი არ არი-ქი ესე, თურქულია, ოსმალურია. ქობლეთლებმა უფრო კარქათ იცის თაუისი ქართული გუარი. „აქაურ ქართველებს ჩვენი სახელები და გვარები არ დაგვვიწყნია, ვიცით ისინი. ყველა ადამიანმა თავისი გვარი იცის. პირველად რომ საქართველოს საზღვარი გაიხსნა, დაიწყო მისვლა-მოსვლა [და გამოკითხვა]: შენ რა გვარი ხარ? შენ რა სოფლიდან ხარ? - მე კაკალაძე ვარ, მე ინაიშვილი**



ვარ, მე ქათამაძე ვარ - ამგვარად დაიწყო, გამოვიკითხეთ, [ნათესავები] ვიცანით, ვნახეთ. სხვა [თემის] ქართველებიც არიან აქ - აჭარლები. იმათ თავიანთი გვარები აღარ იციან. ქედადან ვინც არიან ჩამოსულები, სულ თურქული გვარები იციან იმათ. ქართველები არიან, მაგრამ თურქული გვარები აქვთ. მაგალითად, მე [რომ] მკითხავენ - მე კაკალაძე ვარ[-მეთქი], ვამბობ. იმას [რომ] ჰკითხავენ - თურქულ გვარს ამბობს: ჭეჭელოღლი ვარო, წითელოღლი ვარო - იტყვიან. მერე კი გაიგებენ [ხოლმე], რომ ქართული გვარი არ არის ეს, თურქულია, ოსმალურია. ქობულეთლებმა უფრო კარგად იციან თავიანთი ქართული გვარ[ებ]ი.“

მონათხრობში ყურადღებას იქცევს მთქმელის დამოკიდებულება გვარებისადმი: მისი აზრით, ქართულია მხოლოდ ისეთი გვარსახელი, რომელიც ტრადიციული ქართული ფორმანტებით ბოლოვდება. გვარსახელი, რომლის ეპონიმიც ქართულია, მაგრამ ფორმანტი - უცხოური, მას ქართულად აღარ მიაჩნია (მის მიერ დასახელებული ოსმალური მეტგვარები: ჭეჭელოღლი და წითელოღლი ძირძველ ქართულ ეპონიმებს კი შეიცავს, მაგრამ არაქართული -ოღლი სუფიქსით ფორმდება). მთქმელი მონათხრობში უთითებს იმასაც, თუ რატომაა საჭირო მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის ძირძველი გვარის ზუსტად ცოდნა: სხვაგვარად, საქართველოში ნათესავების გამოძებნა გაჭირდება.

უნიეს სოფელ ექინჯულშიც, ერთ-ერთმა მთქმელმა თურქულ სახელსა და გვართან ერთად დაგვისახელა ქართული გვარი - ხოხოტამშტილი. ოსმალური მეტგვარი მან არ იცოდა, რაკილა მისი წინაპარი (ბაბუის მამა) საქართველოდან 1921 წელს - გასაბჭოების შემდეგ - წამოსულიყო თურქეთში. სამაგიეროდ, მისმა ახლო ნათესავმა, რომელიც ქვემო მაჭახლის იმავე სოფლიდან 1879 წ. გადმოსახლებული მუჰაჯირების შთამომავალია, გვითხრა, რომ ხოხოტამშტილების მეტგვარი იყო **ყადილოღლი**. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნიეს სოფ. ექინჯულშივე დასტურდება მიკროტოპონიმი **ყადილი გოლები** „ყადილის ტბები“ - მთქმელის შენიშვნით: **ყადილაა ყოფილა ერთი და იმიდან - ყადილი გოლები ეტყუიან** „ვინმე ყადილი ყოფილა და იმის გამო - [იმ ადგილს] ყადილის ტბებს ეძახიან“. ჩვენი აზრით, **ყადილოღლი** უშუალოდ მუჰაჯირობის შემდგომ მიღებული მეტგვარი უნდა იყოს.

სინოპში დავაფიქსირეთ მეტად ნიშანდობლივი ფაქტი: მთქმელს თავისი ქართული გვარი - **კუირტიძე** - ახსოვდა იქიდან გამომდინარე, რომ მისივე თქმით, წინაპრები სულ ცდილობდნენ, როგორმე დაბრუნებულიყვნენ საქართველოში: **ჩუენ კუირტიძე უარო. ახლა ბათუმიდან აქა მოსულან, ჩუენი დედები მოსულან. უკან წასლა სურუბიან ქი, თაბი, ერთ-ორ კაც... იმთე, სონრა უკან წასულან, ბექი მიუდეთო, გერი იქ ჩუენ სახლეფ დუტრიალდეთო. წესულან ქი, ჰუდუთზეც რუსეფ დუყენებიან: ესენი ჟინ არიანო? კუირტიზე? რ!.. წადთ ახლა ყუელაა უკანო! რა გინდებიან აქაო?!.. ჩუენე კუირტიძესთან ჟერ დაჟუდებითო!.. კუირტიძე იმთე, დიდი ეშქიამს სულწლე ყოფილა იქა. კუირტიძე დიდი გუარი ყოფილა, დიდი გუარი იქ. „ჩვენ კუირტიძე[ები] ვართ. აქ ბათუმიდან მოსულან, ჩვენი წინაპრები მოსულან. უკან**



წასვლა [მო]სურვებით, რასაკვირველია, ზოგიერთებს... ჰოდა, მერე უკან წასულან: ეგებ მივიდეთო, ისევ იქ, ჩვენს სახლებს დავუბრუნდეთო. რომ წასულან, საზღვარზე რუსებს გაუჩერებიათ: ესენი ვინ არიანო? [- რუს მესაზღვრეებს უკითხავთ ერთმანეთისთვის,] კვირტიძეო? ოო!.. წადით ახლავე ყველანი უკანო! რა გინდათ აქო? ჩვენ კვირტიძეებთან ვერ ვიცხოვრებთო!.. კვირტიძე ცნობილი ყაჩაღების გვარი ყოფილა იქ. კვირტიძე დიდი გვარი ყოფილა, დიდი გვარი იქ.“

ამ მონათხრობში ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მთქმელი თურქულ-არაბულ სწლწლე „გვარი, ჩამომავლობა“ ფორმის პარალელურად, იქვე იყენებს ძირეულ ქართულ ფორმას - გუარი. ნიშანდობლივია ისიც, რომ იმავე მთქმელმა თანამედროვე თურქული გვარის მიღების ისტორია ასე მოგვითხრო: ჩუენი დედეფ უკან წასლა სურუბიან ქი, ჟერ წესულან და ჟერ წესულან... მემრენ-და, ჰუქუმათ თურქა სომადი „დურსუნ“ მუცემია. თურქა დურსუნ ნე დემექ ქი, ბილიდრსუნ? აანი: დადექი, გაჩერდი - ეს თქმაა „ჩვენს წინაპრებს უკან წასვლა ხომ სდომებიათ, [მაგრამ] ვერ წასულან და ვერ წასულან. მერე, მთავრობას ასეთი თურქული გვარი მიუცია [მათთვის]: დურსუნ. თურქულად „დურსუნ“ რას ნიშნავს, თუ იგი? „დადექი“, „გაჩერდი“- ამას ნიშნავს“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარ გვართან (ანდა მეტგვართან) დაკავშირებული ისტორიები სმენიათ მათაც, ვინც წინაპრების ენა - ქართული - უკვე აღარ იცის, ან ძალზე სუსტად იცის: მაგ., სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეს სოფ. ქესთანეფუნდარში (თურქ. Kestanepınarı köyü) ჩვენ სწორედ ქართული ენის სუსტად მცოდნე, 30 წლის მთქმელისგან ჩავიწერეთ მისი მეტგვარის - სალიხოღლის - ლეგენდა, რომლის მიხედვითაც 1879 წელს, ბათუმიდან სამსუნში ჩამოსულ გემს სხვა ქართველ მუჰაჯირებთან ერთად, ჩამოუყვანია 10-11 წლის ობოლი ბიჭუნა, სახელად სალიხი, რომელმაც თავისი ქართული გვარი არ იცოდა. მუჰაჯირებმა სალიხს უპატრონეს, დააქორწინეს და მის შთამომავლებს უწოდეს სალიხოღლები ანუ სალიხაშტილები. მთქმელმა თურქულად მეტყველების დროს ორივე ვარიანტი გამოიყენა. საყურადღებოა, რომ თურქულ (-ოღლი ფორმანტიან) ვარიანტში ეპონიმი ამოსავალი ფორმით (სალიხ) დაფიქსირდა, ქართულ ვარიანტში კი - კნინობით-ალერსობითი ფორმით (სალიხ-ა).

ხშირ შემთხვევაში ბევრი წახნაგითაა საინტერესო ოსმალური მეტგვარებიც; მაგ.:

ა) იქიდან ომ აქ მოუსულუართ, მას მემრე, ანი, აქაური სახელი ჰელიმოღლი დურქმიან. ჩუენ' ემდები - ქლათ ჰელიმოღლი! ამა იქ - ბარამიძე ჟყოფილუართ და აქ რომ მოელით, აქ გამოცლილა (ბულანჯაქი, სოფ. დამუდერე) „იქიდან (=საქართველოდან) რომ აქ მოვსულვართ, მას მერე, ესე იგი, [წინაპრებს] აქაური სახელი (=გვარი) ჰელიმოღლი დაურქმევიათ. ჩვენი ნათესაობა [ამჟამად] - სულ ჰელიმოღლები [არიან], მაგრამ იქ (=საქართველოში) ბარამიძე[ები] ვყოფილვართ და აქ რომ მოვედით, აქ [გვარი] გამოცვლილა“.



ბ) ჩუენი სულწლეს ქარი აქაროლდა. ჩუენი სოფელი ჰაცხან იყო იგზე, აქარაში. იქიდან ქი მოუდეს დედებო, აქარელი იყუეს ქი, იმიდან - აქაროლი დარქუეს, ამფ[რ]ათ დურქმეუდან იშთე. ბათუმიდან მოსულან თუ, ჰაცხად სხუაგნიდან - ქარ უიცი (გირესუნი, სოფ. ანბარალანი) „ჩვენი ჩამომავლობა არის აქაროლი. ჩვენი სოფელი სადღაც იყო იქ, აქარაში. იქიდან რომ მოვიდნენ წინაპრები, აქარლები ხომ იყვნენ და იმიტომ „აქაროლ[ებ]ი“ დაარქვეს, ასე დაურქმევიათ, რაღა. ბათუმიდან მოსულან თუ სადღაც სხვა ადგილიდან - არ ვიცი“...

ამ ორ მონათხრობში საინტერესო ფაქტები იჩენს თავს:

პირველი მთქმელი ხაზს უსვამს იმას, რომ ოსმალური მეტეგვარი მათ მიიღეს მას შემდეგ, რაც საქართველოდან (კერძოდ - აქარიდან) ოსმალეთში გადმოსახლდნენ. რაღა თქმა უნდა, მის წინაპრებს - ბარამიძეებს - აქარაში ცხოვრების დროსაც ექნებოდათ ამგვარივე მეტეგვარი, მაგრამ ძირეულ ქართულ მიწაზე, სადაც ქართული სოციალური ურთიერთობების სისტემა ოსმალეთის იმპერიის ბატონობის პირობებშიც არსებობდა და საკმაოდ ანგარიშგასაწევ მოვლენას წარმოადგენდა, მამაპაპისეული გვარსახელი უფრო პრესტიჟული იყო და ფასობდა, ვიდრე ოსმალ მოხელეთა მიერ მიცემული მეტეგვარი.

მეორე მთქმელი საკუთარ ოსმალურ მეტეგვარს კნინობით-ალერსობითი ფორმით მოიხსენიებს, რადგანაც ქვეცნობიერად იცის, რომ ეს არაა მისი ნამდვილი გვარი, არამედ შერქმეულია წარმომავლობის ადგილის - აქარის - მიხედვით. მას არც წინაპრების სამკვიდრო სოფლის თუ ქალაქის სახელი სმენია ზუსტად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ისინი აქარიდან იყვნენ, რაკილა ოსმალეთში მეტეგვარად „აქაროლი“ დაირქვეს (თუ დაარქვეს). ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფ. ანბარალანის მკვიდრნი თურქულად მეტყველების დროსაც კი, აქაროლი გვარსახელს ქართული მკვეთრი თანხმოვნით წარმოთქვამდნენ.

მაშასადამე, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში ანთროპონიმისა და პატონიმების წარმოებაში შეიძლება გამოვყოთ როგორც საკუთრივ ქართველური, ასევე, თურქული ფენები. ბილინგვურ გარემოში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ფონემატური სტრუქტურა და სიტყვაწარმოება ძირითადად ქართველურია. ხსენებულ რეგიონში ჩაწერილი „ონომასტიკური ლეგენდები“ ცხადყოფს, რომ ცალკეულ საიდენტიფიკაციო ონიმთა, კერძოდ, ანთროპონიმთა ფორმირება მუჰაჯირთა შორის ქართული სოციალური ნორმების მიხედვით ხდებოდა ოსმალეთში დამკვიდრების შემდეგაც. სწორედ ამის წყალობით, ისინი დღემდე ინარჩუნებენ როგორც ქართულ, ასევე თურქულ მახასიათებლებს.

2. ტოპონიმები და მიკროტოპონიმები



2019 წლის ივლისში, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ იმუშავა შემდეგ სოფლებში:

რიზეს ილის ფაზარის (ათინას) ილჩე: **ჰამიდიე//ესქი თრაბუზანი** (Hamidiye);

გირესუნის ილის მერქეზ-ილჩე: **ამბარალანი** (Anbaralan);

გირესუნის ილის ბულანჯაქის ილჩე: **კიშლა ქაო** (Kışla köyü), **თექმეზერი** (Tekmezer), **ქუჩუქდერე** (Küçükdere), **თეფეურანი** (Tepeviran köyü), **თეფე ქაო** (Tepe köyü), **ყაადიბი** (Kayadibi), **ენი ქაო** (Yeni köyü), **შემშეთინი** (Şemşetin), **ერექლული** (Eriklik), **ქუშლუანი** (Kuşluvan), **ჰაჯი მეთიმი** (Hacı Yetim köyü), **დამუდერე** (Damudere);

ორდუს ილის ფაცას ილჩე: **საზჯაღი** (Sazcılar köyü), **ილიტერი** (İliver köyü), **მუსუფლი** (Yusuflu köyü), **ყაბახდაღი//სამება** (Kabakdağı köyü), **თახთაბაში** (Tahtabaş köyü), **ბაჯანალი** (Bacanak köyü), **დორაერი** (Duayeri köyü), **ჩერქეზდაღი** (Yenikent), **აიაზმა** (Ayazlı köyü), **ხოილი** (Hoylu köyü) **ზაჟო** (Kanakbaşı köyü), **ჯაბურანი** (Cabran köyü), **ყარათაში** (Karataş köyü), **ჩიბუხლი** (Çubuklu köyü), **ჯეჯილო** (Cecilo köyü), **დუგუნლული** (Düğünlük köyü), **ბოზდაღი** (Bozdağı köyü), **ხატიბდაღი** (Hatipdağı köyü), **გუტეზი** (Güvez köyü).

ორდუს ილის უნიეს ილჩე: **მიტრაპოლი** (Güzelyalı köyü), **ექინჯული** (Ekincik köyü), **ჩაიბაში** (Çaybaşı köyü), **თექირაზი** (Tekkiraz), **ახქუში** (Akkuş köyü), **მუჯგელერი** (Yüceler köyü), **სარიჯალი** (Sarıcallı);

სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩე: **მუსლიბეი** (Muslubey), **ყარადერე** (Karadere köyü), **ქუტედაი ქესთანეფუნლარი და ზედაი ქესთანეფუნლარი** (ორივე ერთ სოფლად ითვლება, Kestanepınarı köyü), **აიაზმა** (Ayazma köyü), **მუმულუ** (Mumlu), **ყარამუსტაფა** (Karamustafalı köyü), **ჩათალი** (Çatak), **ახბაბა** (Ahubaba köyü), **ახგუნეი** (Akgüney köyü), **დერეჩათი** (Dereçatı köyü), **ყაჭღალი** (Kavgalı köyü);

სინოპის ილის მერქეზ-ილჩე: **ლალა** (Lala köyü), **მენექსე** (Menekse köyü), **ალიოღლი** (Alioğlu köyü); **კორუჯული** (Korucuk köyü), **ორდუ** (Ordu köyü), **ჩობანლარი** (Çobanlar köyü), **ქაბალი** (Kabalı köyü), **გოლლუ** (Göllü köyü), **ერიკლი** (Erikli), **ყარაფუნლარი** (Karapınarı köyü), **აჰმეთერი** (Ahmetyeri köyü), **აჟლიანი** (Avlıyanı köyü), **თანრიალი** (Tanrıyalı köyü);

სინოპის ილის ერფელელის ილჩე: **ერფელელი** (Erfelek köyü), **ჰამიდიე** (Hamidiye), **ვეისელი** (Veysel köyü), **დეირმენჯი** (Değirmenci köyü), **აბდურრამანფაშა** (Abdürrahmanpaşa köyü), **ასანდერე** (Hasandere köyü), **სახარამბაში** (Sakaranbaşı köyü), **კილიჯლი** (Kılıçlı köyü), **თოსუმბეი** (Tosunbey), **ბაშარანი** (Başaran), **თექე** (Tekke), **ენიჩამი** (Yeniçam köyü);

სინოპის ილის გერზეს ილჩე: **აკყირაჯი** (Akkıraç köyü), **მუტალი** (Yuvalı), **ხიზარჩაი** (Hızarcay köyü);



სინოპის ილის აიანჯიქის ილჩე: **ბუიუქდუზი** (Büyükdüzü köyü), **ომერდუზი** (Ömerdüzü köyü);

სინოპის ილის თურქელის ილჩე: **საზკიშლა** (Sazkışla köyü), **აჯიქო** (Hacı köyü);

ამასიის ილის მერქეზ-ილჩე: **აკიაზი** (Akıyazı), **ბელდაღი** (Beldagı köyü), **ჩათალჩამი** (Çatalçam köyü), **იუვა** (Yuva köyü);

ამასიის ილის თაშოვას ილჩე: **თენეკე** (Altınlı), **ჩერმული** (Ilıcapınarı köyü), **ტათლიფუნდარი** (Darmaderesi);

ამ სოფლების სახელწოდებები (ტოპონიმები) მოგვყავს ისე, როგორც მათ ქართველი მუჰაჯირების დღევანდელი შთამომავლები წარმოთქვამენ. აღსანიშნავია, რომ ბევრგან, ქართველებთან ერთად, სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებიც სახლობენ და საყოველთაო-საურთიერთობო ენა თურქულია. სწორედ ამ მიზეზით, სოფლების ქართული სახელები მეტწილად, თურქული დიალექტური ფორმებიდან წარმოსდგება: მაგ., სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეში - **ზედა** და **ქვედა ქესთანეფუნდარი**, სინოპის ილის მერქეზ-ილჩეში - **ყარაფუნდარი**, ამასიის ილის თაშოვას ილჩეში კი - **ტათლიფუნდარი**; ამ ტოპონიმების საზღვრული კომპონენტია **ფუნდარ-ი** ლექსემა, რომელიც მომდინარეობს თურქული დიალექტური **pingar // pungar** ფორმისაგან. სამწიგნობრო თურქულში ამ უკანასკნელის ეკვივალენტია **pınar** ფორმა და მას აქვს „მადაროს“, „საბადოს“ მნიშვნელობა, მაშინ როცა თურქულ დიალექტებში ნიშნავს „წყაროს“ (ქარაბაშოღლუ, 1967:565). ამდენად, მხოლოდ დიალექტური მასალის გაანალიზებით ხდება ცხადი ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა ზუსტი ეტიმოლოგია: **ქესთანეფუნდარი** „წაბლის წყარო“, **ყარაფუნდარი** „შავი წყარო“, **ტათლიფუნდარი** „გემრიელი წყარო“ და ა.შ.

ძირითადად, თურქულიდან მომდინარე ტოპონიმები დასტურდება ქართული ენის ფონემატური და მოფოლოგიური სტრუქტურების შესაბამისად; მაგ., ბულანჯაქის ილჩეს სოფლებია: **თექმეზერი** (Tekmezer), **ქუჩუქდერე** (Küçükdere), **თეფეჰრანი** (Tepeviran köyü); მათი არაოფიციალური სახელწოდებები თურქული კია, მაგრამ ქართულ საწარმოთქმო და გრამატიკულ ნორმებთანაა მისადაგებული. დავძენთ ასევე იმას, რომ ამ სოფლების მკვიდრნი თურქულად მეტყველების დროსაც კი, როგორც წესი, ტოპონიმებს ქართული ფონეტიკით წარმოთქვამენ:

ალი დე თექმეზერიდე გიდიორ, და!.. „ალიც თექმეზერში მიდის, რადა!.. (შდრ. სამწიგნობრო თურქული: Ali de Tekmezer'e gidiyor);

ო კოაქუნ ადი - თეფეჰრანი, ჰა ონუნ და - ქუჩუქდერე! „იმ სოფლის სახელია თეფეჰრანი, აგე იმისი კი - ქუჩუქდერე!.. (შდრ. სამწიგნობრო თურქული: O köyün adı - Tepeviran köyü, işte onun da - Küçükdere);

თურქული წარმომავლობის ტოპონიმთა გარდა, აქა-იქ გვხვდება ასევე, პონტოურ-ბერძნული ტოპონიმები: მაგ., სოფელი **აიაზმა** (ბერძნ. **Αΐασμα** „ნაკურთხი წყალი“) არის ფაცას ილჩეშიც და ჩარშამბას ილჩეშიც; ფაცას **აიაზმას** დღეს ოფიციალურად (თურქულ



ენაზე) ეწოდება **Ayazlı köyü** „მჟავე სოფელი“, ხოლო ჩარშამბას **აიაზმას** შერჩენილი აქვს ძველი სახელწოდება. უნიეს ილჩეში დიდი ქართული სოფელია **მიტრაპოლი**, რომელსაც დღეს ოფიციალურად ეწოდება **Güzelyalı köyü** „ლამაზი სანაპიროს სოფელი“. სახელი, რომელსაც ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები იყენებენ, ბერძნულია: **Μητρόπολις** „მთავარი დასახლება; დედაქალაქი“; ცნობილია, რომ 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომამდე თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის მოსახლეთა მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ პონტოელი ბერძნები შეადგენდნენ, რომლებმაც ჯერ 1879-1882 წლებში და მერე -1922-1923 წლებში დატოვეს აქაურობა (გერმანჩუკი, 2010:161). თავად ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებიც ასევე გადმოგვცემენ, რომ მათ მოსვლამდე იქ, სადაც დღეს სახლობენ, „რუმების“ ანუ პონტოელ ბერძენთა დასახლებები ყოფილა.

ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მასალებში მხოლოდ ერთხელ დადასტურდა ისეთი შემთხვევა, როცა მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელს არაოფიციალურად საქართველოდან (კერძოდ - **ქობულეთიდან**) გადმოტანილი სახელი შერქმევია: მხედველობაში გვაქვს ფაცას ილჩეს სოფ. **ყაზახდაღი** (Kabakdağı köyü), რომელსაც 50 წელზე უფროსი თაობა **სამებას** უწოდებს. **ზედა სამება** და **ქვედა სამება** დღესაც არსებობს საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ფაცას ილჩეს **სამებაში** მცხოვრებ ქართველთა წინაპრები, ერთ-ერთი მათგანის ცნობით, 1879 წელს, სწორედ ქობულეთის სამებიდან წამოსულან ოსმალური გემით, რომელსაც **გულნიჰალი** რქმევია.

რაც შეეხება მიკროტოპონიმებს:

ჩვენი მასალების მიხედვით, ქართველებით დასახლებულ პუნქტებში ქართულენოვანი მიკროტოპონიმია ჭარბობს; კერძოდ, როგორც წესი, სოფლის სახელწოდება თურქულია ან ბერძნული, ხოლო უბნების სახელწოდებები კი ქართულია. მაგ., უნიეს ილჩეს სოფ. **მიტრაპოლში** არის ორი უბანი - **ჭალახმელე** და **დონოგანი**. ამ მიკროტოპონიმების შესახებ ჩვენი რესპოდენტებისაგან ჩაწერილი ხალხური ისტორია („ლეგენდა“) ასეთია: **ჭალახმელე** ბათუმის სახელი ყოფილა, ისე ცამბობენ. ზამნზე, იმ იქიდან სახელი **დუთქმეშთან**. იქიდან ქი ჩამოსულან, აქაც **ჭალახმელე** **დუთქმეშთან**. ერთ მწლესაც **დონოგანი** თქუთა. იქ რაცხა რომ მყდარან, იმის ბედელი ტყეები მიუცემიან აქ. იქ სახელები რაცხა რომ იყო, აქ **დურქმეშთან**. „ჭალახმელა ბათუმის სახელი ყოფილა, ისე ამბობენ. უწინ იმის გამო დაურქმევიათ სახელი. იქიდან რომ ჩამოსულან, აქაც **ჭალახმელა** დაურქმევიათ. ერთ უბანსაც **დონოგანი** ჰქვია. იქ როგორც იყვნენ, ისევე აქაც ტყეები მიუციათ. იქ რაც სახელები იყო, აქ დაურქმევიათ“. **მიტრაპოლის** დანარჩენ უბნებს ეწოდება: **ასარმაღ**, **გორჯოტაზი** და **კვზჯჯე ეზიდა**. იქაც ქართველები სახლობენ, მაგრამ მიკროტოპონიმები უცხოენოვანია.

ასეთივე ვითარება დასტურდება უნიეს ილჩეს სოფ. **ექინჯულშიც**, სადაც უმეტესად, მაჭახლის ხეობიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ. ეს სოფელიც



წმინდა ქართულია, მაგრამ მიკროტოპონიმიაში უცხოენოვანი ელემენტები იჩენს თავს. აქ მოგვყავს ექინჯულის უხუცესი მკვიდრის მონათხრობი, რომელიც 2019 წლის 11 ივლისს ჩავიწერეთ:

ეს სოფელი - ექინჯულია. სხუა სახელი ამას არ აქ. ტყეები, ალაგები აქ. ახლა, ჰანგზე, გაღმაში, აუთი ყვას ეტყუიან. ასე, ემ წინ, დაქთაღან - მაღლა მათად ეტყუიან, ჰემსე ეტყოდენ. იშთე, ჰაქ, ამ ადგილს - ყამაზდის ეტყუიან. იქ ასე, ზემოთ ეხუალ, ის - სულ ზემოზე, ზემოთკენ რუმ ჯამეა, - ყარაყირული ჰქუიან იმასა, ყარაყირული. ნემსე, იმის იქიდან ისე - მეღლიქ თეფე, მეშადუზი, ჰემსე - ყაბაყულადი, ემ გაღმას - ფელუთე თაჲ ჰქუია, ფელუთე თამს იშთე, ადგილები არი: ჭენდიკლი, ოჯალან... ქართული არ ქუია, იმნადრი ქართული სახელი სარ ქუია.

ახლა, ამ აგზე, ქომო[თ], სარიძოღლები ეტყუიან, სარიძოღლები. ის რადან დარჩენილა? იქა გააურები მუდარან - სომეხები ყოფილან. იმითიდან დარჩენილა. იშთე ჰაქ, თოფალის მერს ეტყუიან, ზემო - თოფალის მერი. თოფალი იცი, ხო, მერიც იცი - გნებლოფ, ქართუელია იგიც. იქაც თოფალი სომეხი მუდარა და იმიდან დარქუეს იგი.

ჰემსე - ცადილი გოლები. გოლი რარი იცი, დან? წყლის იგი... ცადილი გოლები ციმნადრი ადგილი არი. ცადილაჲ ყოფილა ერთი და იმიდან - ცადილი გოლები ეტყუიან. ჰემდგერი სახელებიც არი დარქმეული. აქაობას ჩანახჩი ქუია. ჰემსე.

„ეს სოფელი ექინჯულია. სხვა სახელი ამას არ აქვს. ტყეები, ადგილები აქვს. ახლა, აი აქ, გაღმაში [რომ ადგილია], ავი ყვას ეძახიან. ასე, ამის სწორზე, თავდაღმართში - მაილა მათაღს ეძახიან. იქ ასე, ზევით რომ ახვალ და იქ, სულ ზემოთ რომ მეჩეთია, ყარაყირული ჰქვია იმ [ადგილს], ყარაყირული. მერე, იმის იქით, ისე [რომ ჩანს] - ის მეღლიქ თეფეა, მეშადუზია, აი იქით - ყაბაყულადი, გაღმა [ადგილს] - ფელუთე თაჲ ჰქვია. ფელუთე თას აქვს [კიდევ] ადგილები: ჭენდიკლი, ოჯალანი... ქართული [სახელები] არ ჰქვია, ისეთი ქართული სახელი არ ჰქვია.

ახლა, აქეთკენ - ქვევით, [ადგილს] სარიძოღლებს ეძახიან, სარიძოღლებს. ის საიდან დარჩენილა, [იცი]? იქ ურჯულოები ცხოვრობდნენ - სომეხები ყოფილან, იმათგან დარჩენილა. აი აქ, თოფალის მერს („კოჭლის ადგილს“) ეძახიან. „თოფალი“ იცი, ხომ? „მერიც“ იცი - გებულობ, ქართულია ეგეც. იქაც კოჭლი სომეხი ცხოვრებულა და იქიდან დაარქვეს ისიც.

აი, ისე - ცადილი გოლებია. გოლი (=ტბა) რა არის, ხომ იცი? წყლის ისა... ცადილი გოლები იმნადრი ადგილია. ვიღაც ცადილი ყოფილა და იმის გამო - ცადილის ტბებს ეძახიან. აი ეგეთი სახელებია დარქმეული. აქაურობას ჩანახჩი ჰქვია. აი, ეგრე[ა].“

ნიშანდობლივია, რომ ამ მთქმელის მიერ დასახელებული მიკროტოპონიმები ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის (Code-mixing) შედეგადაა წარმოქმნილი.

საინტერესოა ისტორიულ ქართულ ტოპონიმთა საკითხიც:



მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალთა დიდი ნაწილი თავიანთ წინაპართა საცხოვრისად ასახელებს **ბათუმს**. რესპოდენტთა მეტყველებაში „ბათუმი“ აღნიშნავს არა ქალაქს, არამედ მთლიანად ბათუმის ოლქს - ძირითადად, აჭარას. მუჰაჯირთა თურქულ მეტყველებაში შესიტყვება **Batum muhacirleri** ნიშნავს, ზოგადად, ქართველ მუჰაჯირებს და არა „ქალაქ ბათუმიდან წამოსულ მუჰაჯირებს“. ამ შესიტყვებას აქტიურად იყენებს ქართული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც მშობლიური ენა უკვე სუსტად იცის. ისინი, არაიშვიათად, თავს „ბათუმის ქართველებს“ (თურქ. Batum Gürcüleri) უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი წარმომავლობით ზემო აჭარიდანაა. მუჰაჯირ ქართველთა დღევანდელ შთამომავლებს ზოგ შემთხვევაში ახსოვთ უშუალოდ იმ სოფლების სახელებიც, საიდანაც წამოსულან მათი წინაპრები. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში იხსენიება, მაგ., ქედის სოფლები: ჭალახმელა, დოლოგანი... ზემო აჭარის სოფლები: ჭვანა, წონიარისი... ქობულეთის სოფლები: სამება, კვირიკე, გვარა და ა.შ.

შავიზღვისპირა რეგიონში ჩასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა ნაწილის მეტყველებაში დავიწროებულია ოიკონიმ „აჭარის“ სემანტიკა და მიემართება მხოლოდ ამჟამინდელი ქედის მუნიციპალიტეტიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლებს. „აჭარის“ ამგვარ გააზრებასთანაა დაკავშირებული ამჟამინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან წამოსულ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების თვითგამიჯვნა ოთხ ჯგუფად (ზოგი რესპოდენტი სამ ჯგუფს წარმოადგენს; აერთიანებს პირველსა და მეორეს):

- 1) აჭარლები - ამჟამინდელი ქედის მუნიციპალიტეტიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები;
- 2) ზეგნელები - შუახევის და ხულოს სოფლებიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები;
- 3) მაჭახელები - მაჭახელას ხეობიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები;
- 4) ჩურუქსუელები - ამჟამინდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები. საყურადღებოა, რომ დღევანდელი **ქობულეთის** აღსანიშნავად მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები არაიშვიათად იყენებენ ტოპონიმ **ჩურუქსუს** (თურქ.-ოსმ.Çürüksu), თუმცა მათთვის ცნობილია ძირძველი ქართული სახელწოდებაც. შეიმჩნევა ამგვარი მოვლენაც: **ქობულეთი** იხმარება, როგორც ოიკონიმი (მხარის სახელწოდება), ხოლო **ჩურუქსუ** კი - როგორც ტოპონიმი (ადგილის სახელწოდება).

აჭარის ისტორიული მოსახლეობის ამგვარი შიდადიფერენცირების საფუძველია როგორც საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის საზღვრების მონაცვლეობა, ასევე, ოსმალეთის იმპერიის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის



ნაკლებინფორმირებულობა ეთნიკური თუ კუთხური იდენტობის შესახებ. მნიშვნელოვანია სხვა გარემოებაც: ამჟამინდელ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქედელები შუახევისა და ხულოს მოსახლეობას დღესაც **ზეგნის აჭარლებს** (= მთის აჭარლებს), შემოლებით - „ზეგნელებს“ უწოდებენ. ქედელ მუჰაჯირთა შთამომავლების ცნობიერებაში შემოკლებული ვარიანტი „ზეგანი“ მთის აჭარლების აღმნიშვნელ სახელად; შესაბამისად, დავიწროვდა **თემონიმ „აჭარელის“** სემანტიკა. 140 წლის მანძილზე, ზემო აჭარიდან წამოსულმა აჭარლებმაც თავიანთ სახელად გაითავისეს და ფაქტობრივად თემონიმად აქციეს წარმომავლობის სახელი „ზეგნელი“. განხილული საკითხის შესახებ ექსპედიციის მასალებში გვაქვს ასეთი ჩანაწერები:

ა) ქედელ მუჰაჯირთა შთამომავალი: „ჩვენ აჭარლები ვართ, ხულოს ხალხი - ზეგნელები არიან“;

ბ) ხულოელ მუჰაჯირთა შთამომავალი: „ჩვენ ზეგნელები ნამდვილი ჩვენებურებ ვართ, აჭარლები გადარეცხილები (წაშლილები - ტ.ფ., მ.ლ.) არიან“;

გ) ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალი: „ჩვენ უფრო კულტურულები ვართ, მაგრამ საქმე არ გვიყარს, აჭარლები ბევრ საქმობენ; მაჭახლელები აჭარლებზე უკულტურო ხალხია, ველურები არიან... (ქობულეთელი მუჰაჯირის შთამომავლისათვის ქედელიცა და ხულოელიც აჭარელია).

ისტორიული რეალობა ასეთია:

ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით (იხ., მაგ., „ქართლის ცხოვრება“), ზემო აჭარაში, ხულოშია სოფელი „დიდი აჭარა“ (დიდაჭარა). სწორედ ამ სოფლისაგან მიიღო სახელწოდება მთელმა კუთხემაც და აჭარის ყველაზე დიდმა მდინარემ - **აჭარისწყალმაც**. როგორც ჩანს, 140-წლიანი იზოლაციის პირობებში ოსმალეთში მცხოვრებ მუჰაჯირების ნაწილის თვითაღქმაში გაიმიჯნენ მთის (შუახევისა და ხულოს) აჭარლები და შედარებით ბარის (ქედის) აჭარლები; თემონიმ³ „აჭარელი“ დარჩათ ქედელებს, გეორაფიული ზოლის აღმნიშვნელი სახელიდან მომდინარე წარმომავლობის აღმნიშვნელი სინტაგმა: „ზეგნელი აჭარელი“ გამარტივდა „ზეგნელ“ სიტყვად და ტრანსფორმირდა თემინიმად - ეწოდა შუახევიდან და ხულოდან წამოსულთა შთამომავალს.

დამოწმებული ლიტერატურა:

გერმანჩუკი, 2010: В. Германчук, Выставочный проект «Понт. Право на память» - информационный прорыв сквозь забвение, Вісник Одеського Історико-Краєзнавчого Музею, випуск 10, Одеса, 2010; გვ. 161-166;

³ ეთნონიმი - ეთნოსის სახელი; შდრ.: თემონიმი - ეთნოსის ნაწილის - თემის - სახელი.



იუქსელი, 1994: Hasan Yüksel, “Kafkas göçmen vakıfları” Ankara Üniversitesi Osmanlı Tarihi Araştırma ve Uygulama Merkezi (OTAM) Dergisi, Ankara, 1994; გვ. 475-488.

ქარაბაშოღლუ, 1967: Mehmet E. Karabaşoğlu, Türk şiveleri sözlüğü, Ankara, 1967;

ჩაღლარი, 2016: Erol Çağlar, Osmanlı Lakapları, Ankara, 2016;